ასე დაიწყო...
ТАК НАЧАЛОСЬ...

ТЮЗ
ЮНОГО ЗРИТЕЛЯ
учкпрофсожа

ТЕАТР РУСТАВЕЛИ

СПЕКТАКЛЬ ДЛЯ ДЕТЕЙ СТАРШЕГО ВОЗРАСТА

Понедельник 18 Апреля

Н. ОГНЕВ

СПЕКТАКЛЬ УТРО

ГАЙАВАТА,

ВОЖДЬ ИРОКЕЗОВ

Пьеса из индейской жизни в 4 д. 5 к. по Лонгфелло.

Симфонический оркестр под упр. П. П. ПАЛИАШВИЛИ.
Балет студии М. И. ПЕРИНИ.
Начало ровно в 12 час. дня.

Постановка Н. Я. ЧЕЧЕТ

РШАК).

Анонс: готовятся к постановке „С

„РОБИН ГУД"

19 26/27 წ. სეზონის გაზსნა

ᲘᲕᲘᲠᲘᲡ 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ 1926 წ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠ

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲐᲛᲝᲜᲐᲡᲐᲮᲘ

ამიერკავკასიაში პირველი საბავშვო თეატრი 90 წლისაა. დღეს, როდესაც წილად მხვდა პატივი ვუხელმძღვანელო ამ უდიდესი ტრადიციების მქონე თეატრს, უფლება არ მაქვს პატივი არ მივაგო იმ დიდი შემოქმედი ადამიანების ღვაწლს, რომელთაც დღემდე მოიტანეს ჩვენი თეატრი.

ყველაფერი კი თითქმის ერთი საუკუნის წინ დაიწყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ოჯახში. ბატონმა შალვამ და მისმა მეუღლემ ელო ანდრონიკაშვილმა ჩაიფიქრეს - საქართველოში მოზარდთა თეატრი დაფუძნებულიყო. მრავალი მცდელობის მიუხედავად, მათი ჩანაფიქრი ადვილად განხორციელებადი ვერ იყო. ისევე როგორც XIX საუკუნის 40 -იან წლებში, XX საუკუნის 20 - იან წლებშიც ნებისმიერი იდეის განხორციელება რუსული კულტურული კერის აღმოცენებით უნდა დაწყებულიყო და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ჯერ რუსული თეატრი დააფუძნა ხელისუფლებამ, ხოლო ამის შემდგომ ქართული.

ამ საქმეში დადიანების ოჯახის გარდა ჩართული იყო პრაქტიკულად იმ დროის შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა შტო - დიდი კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით. დამოუკიდებლად განხორციელებული „რობინ ჰუდი“ და „ტომ სოიერის თავგადასავალი“ სათვალავში არ მიიღეს, რადგან საბჭოთა იდეოლოგიას არ შეესაბამებოდა. აუცილებელი გახდა ისეთი ნაწარმოებების შერჩევა, რითაც ოფიციოზს აამებდნენ და ამით საქმე გაკეთდებოდა. ასეთ დათმობაზე არწასვლა საქმის მთლიანად ჩაშლას მოასწავებდა და ამიტომაც, როგორც რუსული დასის პირველმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მარშაკმა, ისე ქართული დასის დამაარსებელმა ალექსანდრე თაყაიშვილმა გადაწყვიტეს პირველი სპექტაკლები სახელმწიფო იდეოლოგიის საამებლად დაედგათ და საქმე დაეწყოთ. ნიკოლოზ მარშაკმა ლონგფელოს „ჰაიავატა - იროკეზების ბელადი“ აირჩია დასადგმელად, ალექსანდრე თაყაიშვილმა კი საცის „ფრიც ბაუერი“.

როგორც რუსული, ისე ქართული დასის ჩამოყალიბება იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, რომ საპრემიეროდ ორი ცენტრალური თეატრი დაუთმეს მათ - რუსთაველისა და ოპერისა და ბალეტის თეატრები.

იდეოლოგიური თვალსაზრისით ორივე სპექტაკლი შედგა, თუმცა აშკარა იყო, რომ მხატვრული ხარისხითაც და შემოქმედებითი გუნდითაც საქართველოში ორი სერიოზული თეატრი იქმნებოდა, რომელიც როგორც მოზარდთა ესთეტიკური აღზდისთვის იზრუნებდა, ისე საქართველოს სათეატრო გეოგრაფიას გაამდიდრებდა და გააძლიერებდა.

დაისვა საკითხი თეატრებისთვის შენობების გამოყოფისა. პირველი სეზონები თეატრებმა რუსთაველისა და აღმაშენებლის გამზირების სარდაფებში გაატარეს. თუმცა უკვე 30 - იანი წლების დასაწყისიდან როგორც რუსულ დასს, ისე ქართულს საკუთარი შენობა ჰქონდათ.

ნიკოლოზ მარშაკი რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის დამაარსებელი და 30 სეზონის განმავლობაში უცვლელი ხელმძღვანელი იყო. მისი პირადი დამსახურებით მოზარდ მაყურებელთა თეატრის რუსული დასი ერთ-ერთ საუკეთესო თეატრად იქცა საქართველოში. მან შემოიკრიბა მოზარდთა თეატრის იდეით გულანთებული შემოქმედთა დიდი ჯგუფი: რეჟისორი მატვეი ვახნიანსკი, მხატვარი ირინა შტენბერგი, თეატრალური საქმის ორგანიზატორი კ. შახ-აზიზოვი, მსახიობები: მ. მარკევიჩი, გ. კირსანოვი, ვ. ხოჯაბეკოვი, ნ. გლობენკო, ა. იუდინი, ლ. ლევსკი, ლ. რომანოვი, მ. ბუბუტეიშვილი, ო. ბელენკო, ჩ. კიროვა, პ. ნერიასოვი, ო. ორიოლი, ი. მიხაილოვი, ა. ბარსანოვა და სხვები.

ნიკოლოზ მარშაკის პირადი დამსახურებაა ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორის გიორგი ტოვსტონოგოვის აღმოჩენა. გ. ტოვსტონოგოვის პირველი ნაბიჯები სწორედ ამ თეატრში შედგა და მისმა სადებიუტო სპექტაკლებმა (ა. ჩეხოვის „წინადადება“, ვ. კატაევის „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, დ. დელის „მუსიკოსთა გუნდი“, ა. ბრუნშტეინის „ცისფერი და ვარდისფერი“ და სხვა.) უმალ მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. წლების შემდეგ გ. ტოვტონოგოვი წერდა, რომ მიზანსცენების აგება დიდი რეჟისორისგან ნიკოლოზ მარშაკისგან შეისწავლა.

ნიკოლოზ მარშაკის დადგმული სპექტაკლები (ფ. შილერის „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, ა. ბრუნშტეინის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, ა. ტოლსტოის „ოქროს გასაღები“, მ. ტვენის „უფლისწული და მათხოვარი“, ა. სუმბათაშვილ - იუჟინის „ღალატი“ და მრავალი სხვა) განსაზღვრავდნენ თეატრის მხატვრულ სახეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ წლებში რუსულ თეატრში დაიწყო სამსახიობო მოღვაწეობა თანამედროვეობის დიდმა რუსმა მსახიობმა ევგენი ლებედევმა. გარდა იმისა, რომ იგი პრაქტიკულად ყველა სპექტაკლში მონაწილეობდა, მან თავისი პირველი სარეჟისორო ექსპერიმენტიც განახორციელა და თეატრის სცენაზე დადგა ნ. ჩუკოვსკის „შემოდგომა ტბაზე“.

შემდგომ წლებში თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები ა. გინზბურგი, პ. ნერიასოვი, ა. სმირანინი, გ. ღვინიაშვილი, ა. არაბიანი, მ. რატნერი, ვ. ვოლგუსტი, მ. გიჟიმყრელი, რ. შაფთოშვილი... ცალკეულ დადგმებს ახორციელებდნენ დ. ალექსიძე, ა. თაყაიშვილი, გ. ჟვანია და სხვები.

თეატრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მხატვრები: ე. ახვლედიანი, მ. გოცირიძე, პ. ფედორჩენკო, დ. ფომინი, ბ. ვოლჩინსკი, ა. ოსტაპოვი, პ. ველსკი, ე. ლოკტინი, ე. ვრადი, დ. ნოდია, ნ. კილოსანიძე, თ. სამსონაძე, ე. დონცოვა, ე. კოტლიაროვი, გ. ცერაძე, ნ. ყაზბეგი, კ. იგნატოვი, დ. თავაძე, „სამეული“, გ. მესხიშვილი, მ. ჭავჭავაძე, მ. ციცქიშვილი, ი. გეგეშიძე, თ. სუმბათაშვილი, ა. კაკაბაძე, თ. ნინუა, ნ. გაფრინდაშვილი, მ. გუნია, თ. გომელაური, ა. ჭელიძე, გ. ლაპიაშვილი, შ. გლურჯიძე, ვ. ტაგიროვი, ნ. ჩიტაიშვილი, ს. მაჩაბელი, მ. ობრეზკოვი და სხვები.

თეატრს ხელმძღვანელობდნენ მარია ოლშანსკაია, ივანე გვინჩიძე, თეიმურაზ აბაშიძე, ლევან მირცხულავა, ნიკოლოზ ჯანდიერი.

სწორედ ნიკოლოზ ჯანდიერის მოღვაწეობის პერიოდში თეატრი ახალგაზრდა შემოქმედთა ლაბორატორიად გადაიქცა. ამ თეატრში თავისი პირველი სპექტაკლები განახორციელეს გ. მარგველაშვილმა, ლ. წულაძემ, დ. საყვარელიძემ, მხატვარმა შოთა გლურჯიძემ, კომპოზიტორმა ვახტანგ კახიძემ. უდიდესი იყო წვლილი რეჟისორ გია კიტიასი, რომელიც ნიკა ჯანდიერთან ერთად მთავარი რეჟისორის ამპლუაში წარმართავდა თეატრის მხატვრულ მხარეს.

თეატრის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი იყო ირინე გოცირიძის საქმიანობა თეატრის დირექტორის ამპლუაში. სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს თეატრი გადავიდა ახალ შენობაში. მოწვეულ იქნა სპექტაკლის განსახორციელებლად ცნობილი რეჟისორი ადოლფ შაპირო. თეატრმა დაიწყო ფართო საგასტროლო ტურნეები ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ცისანა ჯანაშიას მოღვაწეობა თეატრის დირექტორის პოსტზე, სწორედ მის პერიოდში დაისვა საკითხი ქართულ-რუსული დასების გაერთიანებისა და იგი გახდა გაერთიანებული თეატრის პირველი დირექტორიც.

რუსულ თეატრს არასდროს მოჰკლებია მაყურებლის სიყვარული და აღიარება, დიდწილად ეს განპირობებული იყო იმით, რომ ყველა ეპოქაში სცენაზე ნიჭიერი სამსახიობო ძალები იდგნენ. თეატრის პირველი თაობის ღირსეულ ცვლად იქცნენ მსახიობები: თ. პაპიტაშვილი, ნ. ჭონიშვილი, ვ. ურუსოვი, მ. მინეევი, ფ. სტეპუნი, ი. სუხანოვი, ა. ენგელგარდტი, ე. აგალაროვა, ი. ბალლა, გ. მალიშევა, ლ. კუბარევა, ი. შვედკოვი, ე. ბასილაშვილი, ი. ვინოგრადოვა, ს. ვინოგრადოვი, ნ. კურკინა, მ. ნერიასოვი, ო. არველაძე, ლ. ბოგდანოვა, ს. შველიძე, ვ.კული, გ. არველაძე, ტ. ალიოშკინა, გ. პანინი, ლ. ლეკვეიშვილი, ვ. ობრეზკოვი, ვ. ლომოვსკი და მრავალი სხვა.

თეატრთან დაარსების დღიდან შეიქმნა ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა ჯგუფი. ამ ჯგუფში ბევრი მომავალში ცნობილი ადამიანი იყო გაერთიანებული. მათ შორის ლევ კულიჯანოვი და მარლენ ხუციევი. ისინი მუდამ იხსენებდნენ მოზარდში გატარებულ წლებს და აღნიშნავდნენ, რომ მათ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში თეატრმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. ორი სეზონი სცენის მემანქანის რანგში თეატრის კედლებში გაატარა ცნობილმა პოეტმა და მუსიკოსმა ბულატ ოკუჯავამაც.

1936 წელს რუსული დასის წიაღში დაიბადა რუსული თოჯინების თეატრიც. ნიკოლოზ მარშაკმა თანამოაზრეები საზოგადოებრივ საწყისებზე შემოიკრიბა და პირველი სპექტაკლები სწორედ ასე განახორციელა. შემდგომ კი თოჯინური დასი, რუსული თეატრის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ დასს სათავეში თავდაპირველად ა. ენგელგარდტი ჩაუდგა, ხოლო 1972 წლიდან სპეციალურად მოიწვიეს ობრაზცოვის თეატრის წამყვანი მსახიობი ვიქტორია სმირნოვა. მისი ხელმძღვანელობის დროს თეატრს შეემატა მეთოჯინე-მსახიობთა დიდი ჯგუფი, დასმა აიმაღლა კვალიფიკაცია. მსახიობების ნ. ფედორჩენკოს, რ. ტაგიროვის, კ. ეფიმოვის, ს. გოლოვანოვას, ნ. ენუქაშვილის, დ. ენუქაშვილის, ბ. გაბდუნინას, ვ. ხანდამაშვილის, ე. კუროჩკინას, თ. სოროკინას და სხვათა დამსახურებით, აგრეთვე მხატვარ მალხაზ ციცქიშვილისა და რეჟისორ ანზორ ჩხიკვაძის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, რუსული თოჯინური თეატრი პატარებისათვის მუდამ სასურველ და საყვარელ ადგილად იქცა.

ალექსანდრე თაყაიშვილი პირადად კოტე მარჯანიშვილის რეკომენდაციით დაინიშნა მოზარდ მაყურებელთა ქართული დასის ხელმძღვანელად.

თეატრმა უმალ მიიპყრო მაყურებლისა თუ კრიტიკოსთა ყურადღება, უმნიშვნელოვანესი სამსახიობო ძალებით დაკომპლექტდა დასი: გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, გ. დარისპანაშვილი, მ. ერგნელი, მ. ქორელი, ე. ციხისთავი, ქ. ჩეჩელაშვილი, ბ. გამრეკელი, ე. ბარბაქაძე, ნ. ერისთავი, ე. მახარაძე, მ. ტყემალაძე, ბ. გამრეკელი, ა. გომელაური, გ. ჟორდანია, ნ. მიქაშავიძე, გ. ლომაია, ი. გვინჩიძე, შ. მჟავანაძე, ვ. კობელი, შ. სიხარულიძე, შ. ინასარიძე, ბ. სვანი, ა. ყიასაშვილი, გ. როსება, ნ. ილურიძე, გ. ჩახავა, დ. ჭეიშვილი და სხვები ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდნენ. თეატრის პირველი დირექტორი იყო ე. ზედგენიძე, მთავარი მხატვარი კი მ. გოცირიძე.

სპექტაკლების გასაფორმებლად მოწვეულნი იყვნენ საუკეთესო მხატვრები პეტრე ოცხელი და ელენე ახვლედიანი. რეჟისურას ძირითადად ალექსანდრე თაყაიშვილი და ბორის გამრეკელი წარმოადგენდნენ, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდნენ გიორგი როსება და სერგო ჭელიძე. მათ სპექტაკლებზე სამუშაოდ შემდგომი თაობის უნიჭიერესი მხატვრები დიმიტრი თავაძე, სოლიკო ვირსალაძე, ნიკა ყაზბეგი და სხვები იყვნენ მოწვეულნი.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სპექტაკლები „სურამის ციხე“. „არსენა მარაბდელი“, „ნაცარქექია“, „პატარა კახი“, „ქაჯანა“, „გიქორი“, „ბოთე და კუსპარა“ და მრავალი სხვა. თითოეული ზემოთჩამოთვლილი წარმოდგენა წლობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ყოველი შემდგომი თაობის მაყურებელში აღტაცებას იწვევდა. მაგალითისთვის სპექტაკლი „სურამის ციხე“ 500-ჯერ იყო ნაჩვენები.

თუ თეატრის დაარსების პირველ წლებში რეპერტუარი ძირითადად ქართული ან უცხოური თანამედროვე პიესებით (მათ შორის „იდეოლოგიურით“) ივსებოდა, 40-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო კლასიკური ნაწარმოებების განხორციელება. ხშირად მიმართავდნენ შექსპირის, შილერის, ოსტროვსკის ნაწარმოებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ა. თაყაიშვილის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ ვ. არეშიძის, თ. თვალიაშვილის, გ. დარისპანაშვილის, გ. კუპრაშვილისა და სხვათა მონაწილეობით.

ინტერესი მოზარდ მაყურებელთა თეატრის მიმართ, როგორც მაყურებელში, ისე პროფესიულ წრეებში, ყოველწლიურად იზრდებოდა,.

თეატრთან თანამშრომლობის უდიდესი სურვილით აქ სპექტაკლებს

ახორციელებდნენ რეჟისორები: ა. ჩხარტიშვილი, გ. ჟურული, ო. ალექსიშვილი, ლ. იოსელიანი, ა. მიქელაძე, ა. ნინუა, შ. კილოსანიძე, კ. სურმავა, რ. ჭარხალაშვილი, გ. ლაღიძე, ი. კაკულია და სხვები. მხატვრები: ფ. ლაპიაშვილი, ი. სუმბათაშვილი, ი. შტენბერგი, შ. ჟორჟოლაძე...

ალექსანდრე თაყაიშვილის შემდგომ თეატრის მთავარ რეჟისორად სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ შალვა კილოსანიძე, სერგო ჭელიძე, გიორგი ჟურული, ავქსენტი გამსახურდია, თენგიზ მაღალაშვილი...

ეს იყო გასული საუკუნის 50-იანი 60-იანი წლები - რეპერტუარის მრავალფეროვნებით, ახალი ძიებებითა და აღმოჩენებით აღსავსე წლები, როცა მაყურებელმა განსაკუთრებულად შეიყვარა სპექტაკლები: „ბაში-აჩუკი“, „გლახის ნაამბობი“, „ზღაპარი სიმართლეზე“, „პრინცესა ტურანდოტი“, „კომბლე“, „იყალთოელი ბიჭები“, „ვარსკვლავბიჭუნა“, „კაცი, რომელიც იცინის“, „წეროები“, „კონკია“, „ციხისხევის საიდუმლო“, „ტარიელ გოლუა“, „ორლეანელი ქალწული“, „სკაპენის ოინები“, „სადა ხარ, სოფიკო?“ და მრავალი სხვა...

დასი გამდიდრდა შესანიშნავი სამსახიობო ძალებით: ი. ელისაშვილი, რ. თავართქილაძე, ლ. ძიგრაშვილი, ი.კიკალეიშვილი, ე. სიხარულიძე, გ.სიხარულიძე, ი. ნინუა, გ. რევაზიშვილი, ნ. ცერცვაძე, ე. გელოვანი, ა. ფხალაძე, ც.ცაგარეიშვილი, რ. მიქაბერიძე, ბ. ჯაფარიძე, ც. ჟორჟოლაძე, ი.ტყავაძე, ო. ბაღათურია, ლ. მექვაბიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ე. ასლამაზიშვილი, ტ. გიორგაძე, ნ. ჯავახიშვილი, ბ. ხაფავა, ნ. პაატაშვილი, ო. სეთურიძე, ლ.ანთაძე, ფ. სონღულაშვილი, შ. ქრისტესაშვილი, ვ. მაზმიშვილი, ლ. ჯაყელი, მ. გოგიჩაიშვილი, ი. მოლოდინაშვილი, ხ. იოსელიანი, მ. აბაშიძე, ჯ. ჯანდიერი და სხვები.

თეატრის ოქროს ხანად იქცა პერიოდი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით. ამ პერიოდში თეატრთან თანამშრომლობდნენ რეჟისორები თ. ჩხეიძე, ნ. ხატისკაცი, ნ. კვასხვაძე, დ. კობახიძე, ა. ქუთათელაძე, ვ. ანდრონიკაშვილი, დ. ცისკარიშვილი, გ. მელივა, თ.მესხი, ქ. ხარშილაძე, მ. კვირკველია, მ. არეშიძე, გ. თოდაძე, შ. კობიძე და სხვები. მათ დადგეს მაყურებლისათვის განსაკუთრებით საყვარელი სპექტაკლები „დონ სეზარ დე ბაზანი“, „დივიზია 16“, „დარისპანის გასაჭირი, უბედურება“, „მერი პოპინსი“, „ლუნევი“, „მაია წყნეთელი“, „მერხებზე ანგელოზები სხედან“, „ლეგენდა უთავო მხედარზე“, „გოგო ხოხესია“, „სალამურას თავგადასავალი“, „ბიჭუნა და კარლსონი“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „შეაჩერეთ მალახოვი“ და მრავალი სხვა, თუმცა თეატრის მხატვრული სახის განსაზღვრელად იქცა რეჟისორ შალვა გაწერელიას მოღვაწეობა, ჯერ როგორც დამდგმელი რეჟისორისა, ხოლო შემდგომ 20 სეზონის განმავლობაში სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში.

შალვა გაწერელიას „სეზონები“ ტოლს არ უდებდა ქართული თეატრალური ცხოვრების ფერხულს. 70 - იანი წლები ქართული თეატრის ოქროს ხანადაა მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის, გიზო ჟორდანიასა თუ სხვათა ბრწყინვალე სპექტაკლების მთელი კალეიდოსკოპი და სწორედ მაშინ შალვა გაწერელიას მოღვაწეობა მოზარდ მაყურებელთა თეატრში და რეპერტუარი, რომლითაც თეატრმა მოიარა მთელი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა ტოლს არ უდებდა დიდ სახელმწიფო თეატრებს.

შალვა გაწერელიამ 40 წელი იღვაწა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ალექსანდრე თაყაიშვილის, თეატრის დამაარსებლის შემდეგ, ასეთი დიდი ღვაწლი არცერთ სხვა რეჟისორს არ მიუძღვის ამ თეატრის ისტორიაში. მისი ადრეული სპექტაკლებიდან „განძთა კუნძული“, „დაკარგული დრო“, „გალილეო გალილეი“, „ძია ელიოზი“, „ციხე-სიმაგრის საიდუმლო“, „კოლეგები“, „ჯართი“, „აცა-ბაცა“, „ანა ფრანკის დღიური“, „მოკვეთილი“, „სიმონა მაშარის სიზმარი“ თუ სხვა იგრძნობოდა ის შემოქმედებითი მიდგომა და მხატვრული ხარისხი, რომელმაც უკვე 70-იანი, 80-იანი წლების რეპერტუარში მთელი ძალით ამოხეთქა და ერთმანეთის მიყოლებით განხორციელდა არა მარტო ამ თეატრის, არამედ ქართული თეატრის „ოქროს ფონდში“ შესული წარმოდგენების მთელი რიგი: „ქამუშაძის გაჭირვება“, „მე ვხედავ მზეს“, „:რღვევა“, „ირინეს ბედნიერება“, „კუკარაჩა“, „ჩვენებურები“, „ბედნიერი ბილეთი“, „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“...

ძველი თაობის შესანიშნავ მსახიობებთან ერთად გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები: ა. მახარობლიშვილი, გ. ძნელაძე, გ. მახათაძე, დ. ხარშილაძე, თ. შამათავა, ო. გაბელია, ა. იოსელიანი, მ. ბოცვაძე, მ. შარიქაძე, ნ. ბერაძე, მ. აბაშიძე, თ. მამულაშვილი, ქ. შერვაშიძე, ზ. სიხარულიძე, მ. მაჩაიძე, გ. ცხვარიაშვილი, მ. ჩართოლანი, თ. ლოლაშვილი, ნ. მამულაშვილი, მ. ბარდაველიძე, მ. ლორია, მ. ხობუა, ზ. პირველი, თ. ადამია, ა. შარმანაშვილი, ე. ღოღობერიძე, ბ. მეგრელიშვილი...

თეატრში მუშაობდნენ საინტერესო მხატვრები: მ. ჭავჭავაძე, ა. რამიშვილი, თ. ჰეინე, ი. გეგეშიძე, მ. მალაზონია, ნ. გაფრინდაშვილი „სამეული“, ა. ჭელიძე... ეს უკანასკნელი 20 სეზონის მანძილზე თეატრის მთავარი მხატვარიც იყო.

შალვა გაწერელიას თეატრიდან წასვლის შემდგომ თეატრში შეიქმნა სარეჟისორო კოლეგია გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. თეატრის მთავარი რეჟისორი გახდა ქეთევან ხარშილაძე. ამავე პერიოდში დაიწყო მსახიობმა ოთარ ბაღათურიამ აქტიური სარეჟისორო მოღვაწეობა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი სპექტაკლი „ამიკო“, რომელიც საკუთარი პიესის მიხედვით დაიდგა. განხორციელდა სპექტაკლები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „შანტეკლერი“, „ბანკეტი“, „ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყეს“ და სხვა.

თეატრის დასს შეემატნენ მსახიობთა ახალი თაობა: ნ. ლორთქიფანიძე, ნ. გელაძე, ბ. გვაზავა, ნ. ლეჟავა, ნ. კასრაძე, ნ. გომელაური, გ. მიქელაძე, ნ. დგებუაძე, ნ. კუპატაძე, ვ. ახალაძე, გ. ჩიქობავა, ქ. ქიტიაშვილი, ზ. ავსაჯანიშვილი, ნ. გურულიშვილი, ე. ხატიაშვილი, კ. ლეკიშვილი, ა.

ხუროშვილი, მ. მაისურაძე, ს. ებრალიძე და სხვები. თეატრთან დაიწყო თანამშრომლობა ახმეტელის თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა - მსახიობმა ნუგზარ ყურაშვილმა.

1999 წელს დადგა საკითხი ქართული და რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრების გაერთიანებისა და მას ნოდარ დუმბაძის სახელი მიენიჭა. გაერთიანებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკა ჯანდიერი იყო, დირექტორი კი - ცისანა ჯანაშია. სარეჟისორო კოლეგიაში შედიოდნენ რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, ოთარ ბაღათურია და გია კიტია.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტი „კავკასიური ცარცის წრე“, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა საზოგადოებაში.

2007-2012 წლებში თეატრის მმართველად დაინიშნა მიხეილ ანთაძე.

თეატრთან თანამშრომლობდნენ რეჟისორები: გ. ქავთარაძე, ს. მრევლიშვილი, გ. თავაძე, მ. ბუკია, ე. მაცხონაშვილი, ი. ჯაოშვილი, მ. შენგელია, ხ. ბედელაძე, ლ. ქობლიანიძე, გ. ქურციკიძე, ა. ლობოვი, თ. თუხარელი და სხვები.

დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „ნიშნობა“, „ჭირვეული პრინცესა“, „თოვლის დედოფალი“, „ღია გაკვეთილი“, „ბარონი მიუნჰაუზენი“, „კოლობოკი“ და სხვა.

თეატრის დასს ახალგაზრდების გარდა შემოუერთდნენ უკვე აღიარებული სცენის ოსტატები: პ.ნოზაძე, ა.ხიდაშელი, ი.ხაინდრავა... ასევე დასში დაბრუნდა ძველი მსახიობების ნაწილი, რომლებმაც შალვა გაწერელიასთან ერთად დატოვეს თეატრი.

სპექტაკლებს აფორმებდნენ მხატვრები ნ. ჩიტაიშვილი, ნ. კიტია, ს. კიკაბიძე, ა. კალატოზიშვილი, ქ. თოდაძე და სხვები.

2012 წლის ბოლოს დავინიშნე თეატრის ხელმძღვანელად. Dირექტორად დაინიშნა ლილი წულაძე. დღევანდელი დასი პრაქტიკულად სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. დამხვდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები და შუა და უფროსი თაობის გამოცდილი ძალები. ქასტინგების შედეგად დასს შემოემატნენ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. თეატრში დაბრუნდნენ სხვადასხვა მიზეზით წასული მსახიობები. პრაქტიკულად შევეცადეთ რომ ყველაფერი ნულიდან დაგვეწყო.

სხვადასხვა დადგმებზე მოვიწვიე მ. კუჭუხიძე, კ. მირიანაშვილი, ლ. წულაძე, ბ. კუპრეიშვილი, მ. ბერიკაშვილი, ლ. ბურბუთაშვილი, გ. ქანთარია, გ. შალუტაშვილი, ლ. ქობლიანიძე, გ. ბრეგაძე, ნ. საბაშვილი, ხ. მილორავა, დ. ნიკოლაძე, დ. თავაძე, გ. თავაძე, გ. ქაჩიბაია, ლ. თაბაგარი, ი. კავსაძე და სხვები. მხატვრები ნ. ჩიტაიშვილი, ა. კალატოზიშვილი, ქ. ნადიბაიძე, ნ. კიტია, ნ. სურგულაძე, მ. სხირტლაძე, თ. კვიწინაძე, ნ.ჭყონია, ქ. ციციშვილი, გ.ალექსი-მესხიშვილი, ა. ჭელიძე, ლ. მურუსიძე... ქორეოგრაფები გია მარღანია, ილიკო სუხიშვილი, ანანო სამსონაძე... სპექტაკლებისთვის ორიგინალური მუსიკა დაწერეს დავით მალაზონიამ, მიხეილ მდინარაძემ, ლექსო ტურიაშვილმა... სპეციალურად ჩვენი თეატრისთვის რევაზ მიშველაძემ დაწერა პიესა „არ დამივიწყო“. თეატრის წინ გაიხსნა 5 სახელობითი ვარსკვლავი: ლეილა ძიგრაშვილის, ბერტა ხაფავას, რეზო თავართქილაძის, ლადო მექვაბიშვილის, ოთარ ბაღათურიას სახელობის...

2015 წლიდან თეატრის დირექტორად თამარ ლორთქიფანიძე დაინიშნა.

ხუთწლიანი მუშაობა რომ შევაჯამოთ ასეთ სურათს მივიღებთ: დაიდგა 60-მდე ახალი წარმოდგენა. თეატრმა მონაწილეობა მიიღო 18 საერთაშორისო ფესტივალში იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, ალბანეთში, რუსეთში, მაკედონიაში, სერბეთში, საბერძნეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში... ყოველწლიურად დავდიოვართ რეგიონალურ გასტროლებზე. ხუთი სეზონის მანძილზე 100-ზე მეტი წარმოდგენა ვითამაშეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში.

აღვადგინეთ გაწყვეტილი ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაცია “ასიტეჟთან”, სადაც წევრი-თეატრის სტატუსით ვართ გაერთიანებული მათთან.

მსახიობებმა დავით ხახიძემ, კოტე თოლორდავამ, ნინო ლეჟავამ, ნიკა ნანიტაშვილმა, რეჟისორებმა ნიკა საბაშვილმა, გურამ ბრეგაძემ, კომპოზიტორმა დავით მალაზონიამ მიიღეს პროფესიული პრემიები. სპექტაკლისთვის „1945“ რეჟისორ ნიკა საბაშვილს მიენიჭა თეატრალური პრემია „დურუჯი“. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სპექტაკლებმა „წითელქუდა“, „ემილის თავგადასავალი“, „სევილიელი დალაქი“, „მზის სხივი“, „მე ვხედავ მზეს“, „ნაცარქექია“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „სამეფო ძროხა“, „მაუგლი“, „ფიფქია და 7 ჯუჯა“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვა. გააქტიურდა საღამოს რეპერტუარის სპექტაკლების დადგმა. მაყურებლისა და კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა სპექტაკლებმა „ზამთრის ზღაპარი“, „რომეო და ჯულიეტა“, „1945“, „ღამე და თუთიყუში“, „ჯუჯა ცხვირი“, „სარჩობელაზედ“, „ბილოქსი ბლუზი“, “არ დამივიწყო”, „აურზაური არაფრის გამო“, „EVANGELION”, „სეილემის პროცესი“, „ნოველები“...

გასაკეთებელი რასაკვირველია კიდევ ბევრია. იმედს ვიტოვებ, რომ შემდგომი სეზონები უფრო შთამბეჭდავი, შემოქმედებითი სიახლეებითა და ახალი მხატვრული სახეებით იქნება დახუნძლული.

არც მე და არც თეატრის დირექტორი თამარ ლორთქიფანიძე ჩვენს გუნდთან და დასთან ერთად არაფერს დავიშურებთ, რათა ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი იყოს სულ მუდამ თანამედროვე, მაღალი მხატვრული ხარისხის, თანამედროვე თეატრალური პროცესების ერთ-ერთი წამყვანი ძალა.

დიმიტრი ხვთისიაშვილი
სამხატვრო ხელმძღვანელი

Первому детскому театру в Закавказье 90 лет! Сегодня мне выпала большая честь, руководить театром имеющим великие традиции и почтить памятью, тех великих людей, благодаря которым наш театр существует.

Все начиналось в -20ые года прошлого столетия, в семье Грузинского писателя и общественного деятеля Шалва Дадиани. Ш. Дадиани со своей супругой задумали основать детский театр. Несмотря на множество попыток, идея не осуществилась.В то время, осуществление любой идеи начиналось с произрастании Русского культурного очага, так произошло и в этот раз. Представители власти дали согласие на основания Русского театра, затем уже Грузинского.

Первые сезоны представления обеих театров проводились в подвальных помещениях на проспекте Руставели и Агмашенебели.

Уже в -30ые года обеим театрам дали собственные помещения.

На протяжении 30 сезонов художественным руководителем Русского тюза был его основоположник Николай Маршак. Благодаря ему русский Тюз считался одним из лучших театров в Грузии. Вокруг Маршака сплотились талантливые творческие силы. В русском Тюзе начался творческий путь выдающегося режиссера наших дней Георгиа Товстоногова. В нашем театре создал свои первые роли Евгений Лебедев.

В разные года театром руководили: Иване Гвинчидзе, Мария Ольшаницкая, Теймураз Абашидзе, Леван Мирцхулава, Николай Джандиери.

В период деятельности Н. Джандиери театр превратился в лабораторию молодых творцов. Спектакли ставили такие режиссеры как: Г.Маргвелашвили, Л.Цуладзе, Д.Сакварелидзе, художник Ш.Глурджидзе,композитор В.Кахидзе. Большой вклад внес в творческую жизнь театра режиссер Гия Кития, который был главным режиссером театра.

Русский Тюз никогда не лишался зрительской симпатии и признания.

Во многом это было связано с тем, что во все эпохи на сцене стояла талантливая актерская труппа.

В 1936г.Н.Маршак в недрах Русского Тюза основал кукольный театр.

Художественным руководителем Грузинского театра по рекомендации Коте Марджанишвили был назначен Александр Такаишвили. Театр сразу же привлек внимание критиков и зрителей.Труппа была укомплектована талантливыми актерами.

Особенной популярностью пользовались спектакли: “Сурамская крепость”, “Арсен Марабдели”,”Нацаркекия”, “Патара Кахи”, “Каджана”, “Гикор”, “Боте и Куспара” и многие другие. Каждый из спектаклей ставился в течении многих сезонов и переходил из поколения в поколение. “Сурамскую крепость” играли 500 раз.

В первые года на сцене ставили Грузинские и зарубежные пьесы, в начале -40ых активно ставились классические произведения. Часто обращались к произведениям Шекспира, Шиллера, Островского. Интерес к театру возрастал как со стороны зрителей, так и в профессиональных кругах.

Золотой эпохой театра стали -80ые года.С театром сотрудничали блестящие Грузинские режиссеры, хотя определяющим художественный образ театра являлся главный режиссер, а после художественный руководитель театра Шалва Гацерелия .Эти года считаются “Золотой эпохой” театра.

В 1999 г. Грузинский и Русский театр обьединились. Театру присвоили имя Нодара Думбадзе.

В конце 2012 года меня назначили руководителем театра.Сегодняшняя труппа основалась как раз в этот период.Меня встретила талантливая молодежь и опытное старшее поколение. В результате кастинга труппа заполнилась актерами окончившими театральное училище.В театр возвратились артисты, ушедшие по разным причинам. Практически мы начинали с нуля.

Подведя пятилетний итог получается: было поставлено до -60и спектаклей, театр принял участия в 18 международных фестивалях: в Японии, Великобретании, Польше, Албании, Росии,Македонии,Сербии,Греции, Белорусии, Украине, Турции, Армении, Азейрбаджане...

Разумеется сделать надо еще многое. Надеюсь, дальнейшие сезоны будут более впечетляющими, с творческими новинками и новыми художественными образами.

И я и директор театра Тамар Лордкипанидзе с нашим коллективом и труппой сдалем все от нас зависящее, чтобы театр Юного Зрителя им. Н. Думбадзе был всегда современный, высококачественный и одним из ведущих сил театральных процессов.

Димитрий Хвтисиашвили
Художественный руководитель театра

The first children's theater in the South Caucasus became 90 years old. Today I have the great honor to lead the theater of great traditions and I have no right not to pay tribute to the great creative people who have brought our theater to the present day.

It all began in the family of Shalva Dadiani, a great Georgian writer and public figure, almost a century ago. Mr. Shalva and his wife Elo Andronikashvili intended to establish a youth theater in Georgia. Despite numerous attempts, their intentions were not easy to implement. In the 40s of the XIX century, as well as in the 20s of the XX century, the implementation of any idea should have begun with the cradle of Russian culture. The same happened in this case. The authorities firstly founded the Russian theater, and then the Georgian one.

The theaters spent the first seasons in the basements of Rustaveli and Agmashenebeli avenues. However, from the beginning of the 1930s both the Russian troupe and the Georgian troupe had their own buildings.

Nikoloz Marshak was the founder of the Russian Youth Theater and was an irreplaceable director for 30 seasons. Thanks to him, the Russian troupe of the youth theater was one of the best theaters in Georgia. He gathered a large group of creative people who were enthusiastic about the idea of the Youth Theatre. The discovery of the greatest director of our times Georgy Tovstonogov, is his personal merit. G. Tovstonogov made his first steps in this theater. It should also be noted that the great actor of modern times, Evgeny Lebedev, began his career in the Russian theater.

In different years the theater was leaded by: Ivane Gvinchidze, Maria Olshansitskaya, Teimuraz Abashidze, Levan Mirtskhulava, Nikoloz Jandieri.

Just in the period of Nikoloz Jandieri's activity, the theater turned into a laboratory of young artists. G. Margvelashvili, L. Tsuladze, D. Sakvarelidze, the artist Shota Glurjidze, the composer Vakhtang Kakhidze staged their first performances in this theatre. Great contribution was made by the director Gia Kitia, who along with Nika Jandieri managed the artistic side of the theater as a chief director.

The Russian theater has never been deprived of love and recognition from the audience. In many respects it was conditioned by the fact that in all epochs there were very talented actors on the stage.

In 1936 a Russian puppet theater was born on the bases of the Russian troupe. Nikoloz Marshak gathered like-minded people on a voluntary basis and this is how he staged the first performances. Afterwards, the puppet troupe became an integral part of the Russian theater.

Alexander Takaishvili was appointed personally by recommendation of Kote Marjanishvili as a director of the Georgian Youth Theater troupe. The theater quickly attracted the attention of viewers and critics. The troupe was staffed with the most significant actors.

The most popular performances were: "Surami Fortress". "Arsena of Marabda", "Natsarkekia", "Little Kakhi", "The Chatter", "Gikor", "Bote and Kuspara" and many others. Each of the above-mentioned performances have been passed over the years, and delighted next generations of the audience. For example, "Surami Fortress" was staged 500 times.

In the first years of the foundation of the theater, the repertoire was filled mostly with Georgian or foreign contemporary works (including "ideological" ones), but from the 1940s they actively began to put classical works. They often used the works of Shakespeare, Schiller, Ostrovsky. Interest in the youth theater grew every year both in viewers and professional circles.

The 80s of the last century became the golden age for the theater. During this period, outstanding Georgian directors collaborated with the theater. Although the artistic style of the theater was determined by the activity of the director Shalva Gatserelia, working as a production director, and for the next 20 seasons as an artistic director.

"The Seasons" of Shalva Gatserelia kept abreast with the Georgian theater life. The 70s are considered the golden age of Georgian theater.

In 1999, there arose the question of unification of Georgian and Russian theaters and was named after Nodar Dumbadze.

By the end of 2012, I was appointed director of the theater. The present troupe was practically established during this period. I was met by talented young people, experienced actors of the middle and older generation. As a result of casting, graduates of the University of Cinema joined the theater. The actors who had left for different reasons returned to the theater. We actually tried to start everything from scratch.

Summing up the results of the five-year work, we get the following picture: up to 60 new performances were staged. The theater has took part in 18 international festivals in Japan, Great Britain, Poland, Albania, Russia, Macedonia, Serbia, Greece, Belarus, Ukraine, Turkey, Armenia, Azerbaijan.

Of course, there is still a lot to be done. I hope that the following seasons will be more impressive, full of creative innovations and new artistic faces.

I and the director of the theater, Ms. Tamar Lortkipanidze, will do our best together with our team and the troupe, so that Nodar Dumbadze State Youth Theatre is always modern, highly artistic, one of the leading forces of contemporary theatrical processes.

Dimitri Khvtisiashvili
Art-Manager

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მეგობარს,
გულშემატკივარსა და მაყურებელს

დღეს, საქართველოში ერთადერთი სახელმწიფო თეატრი, რომელიც ემსახურება ყველაზე მცირეწლოვან მაყურებელს მის სრულწლოვანებამდე, და ქვეყანას უზრდის საზოგადოების მომავალ თაობას – 90 წლის იუბილეს აღნიშნავს.

თეატრის სამყარო ცოცხალია და მრავალფეროვანი, ის მრავალმხრივ ავითარებს ბავშვს, ახალგაზრდას. კრეატიული აზროვნება, ესთეთიკური აღზრდა,მეტყველებისა და ქცევის კულტურა, გემოვნების ჩამოყალიბება, ინტელექტი-ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ უნარ-ჩვევებისა, რომლის მიღება შეუძლია ბავშვს თეატრიდან იმ შემთხვევაში, თუკი თეატრსაც ექნება საშუალება აწარმოოს მაღალხარისხიანი პროდუქცია და აამოქმედოს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამა შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ გარემოში. ოჯახთან და სკოლასთან ერთად, თეატრი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში თეატრი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, თავისი მნიშვნელობისა და სპეციფიკიდან გამომდინარე N1 თეატრია და განსაკუთრებული ყურადღებით, მხარდაჭერითა და პატრონაჟით სარგებლობს. ამ ტიპის თეატრების შემოქმედებითი ჯგუფი კი უნიკალური (რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები და სხვა), ვინაიდან ერთნაირად მაღალ-პროფესიონალურ დონეზე რეჟისორს შეუძლია დადგას საბავშვო ზღაპარი და შექსპირის მეფე ლირი, მსახიობმა ითამაშოს ხუთკუნჭულა დილით, და იმავე საღამოს გოეთეს ფაუსტი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს ჰყავს უფროსი თაობის (18+) მაყურებელიც, რომელთათვისაც ვმართავთ საღამოს სპექტაკლებს. გვიხარია, რომ ამ ასაკის მაყურებლის რაოდენობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა. გაფართოვდა გასტროლების გეოგრაფიული რუკაც. გვეამაყება, რომ თეატრი მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევს საქართველოს რეგიონებში საბავშვო და საგანმანათლებლო სპექტაკლების წარდგენას – ყოველწლიურად ეწყობა გასტროლი სხვადასხვა რეგიონში.

მოზარდ მაყურებლთა თეატრი მუდმივად შემოქმედებითი და ტექნიკური სიახლეების გამოწვევებს უმკლავდება, ვინაიდან ჩვენი მაყურებლის მოთხოვნები უსწრაფესად იცვლება.თეატრი ვალდებულია კლასიკურ დადგმებთან ერთად მაყურებელს თანამედროვე პროდუქციაც შეთავაზოს, რაც ჩვენს პირობებში ძალიან რთულია, ხშირად შეუძლებელიც.

გვეამაყება, რომ მიუხედავად სხვადასხვაგვარი პრობლემისა ჩვენი თეატრი ლიდერობს მაყურებელთა და პრემიერების რაოდენობით.

მადლობა მინდა გადავუხადო თეატრის თავდადებულ თანამშრომლებს პროფესიონალიზმისთვის, საქმისადმი ერთგულებისა და ტიტანური შრომისთვის!

დღეს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურ პრობლემებს უმკლავდება, როდესაც ოჯახებში რთული და მძიმე ყოფაა (რაც სამწუხაროდ, ბავშვის ფსიქიკაზე აისახება), მოზარდ მაყურებელთა თეატრი მიზნად ისახავს შექმნას მათთვის ის სულიერი ოაზისი, სადაც ისინი რაღაც პერიოდით მაინც, არა მხოლოდ მოწყდებიან სირთულეებს, არამედ გაერთობიან, განათლდებიან და ვიმედოვნებთ მომავალში საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან.

დიდ მადლობას გიხდით ყველა იმ პირსა თუ ორგანიზაციას, ვინც თეატრს გვერდში უდგას და ეხმარება დასახული გეგმების განხორციელებაში! ეს თეატრი ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას თავისი უნიკალური მისიის გამო.

თქვენი დახმარების წყალობით შესაძლებელი გახდება უმნიშვნელოვანესი იდეების განხორციელება, ბავშვებისთვის მრავალფეროვანი ღონისძიებების მოწყობა, როგორც თეატრალური და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი, ისე შემეცნებით-გასართობის.

მოგეხსენებათ, დღევანდელი მოზარდ მაყურებელთა თეატრი წარმოქმნილია ქართული და რუსული მოზარდმაყურებელთა და რუსული თოჯინების თეატრების გაერთიანებით. ათწლეულების მანძილზე არაერთი დიდი ხელოვანი მოღვაწეობდა აღნიშნულ თეატრებში, დაიდგა არაჩვეულებრივი სპექტაკლები. დიდ მადლობას ვუხდით და ქედს ვიხრით ყოველი იმ ადამიანის წინაშე, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი მოზარდ მაყურებელთა თეატრის განვითარებაში მისი დაარსებიდან დღემდე!

დღეს, მოზარდ მაყურებელთა თეატრს ჰყავს ისეთი სამხატვრო ხელმძღვანელი და შემოქმედებითი თუ ადმინისტრაციულ-ტექნიკური გუნდი, რომელთაც ძალიან საინტერესო და რთული გეგმების შესრულება ხელეწიფებათ.

ჩვენ გვეამაყება, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრს ვემსახურებით და გვყავს ყველაზე სათუთი, საყვარელი და გულწრფელი აუდიტორია!

თამარ ლორთქიფანიძე
თეატრის დირექტორი

Зрителям и друзьям Театра Юного Зрителя!

Сегодня единственный Государственный Театр Юного зрителя, который служит младшему и взрослому поколению отмечает 90 летие!

Театральный мир живой и разнообразный, многосторонне развивающий в ребенке креативное мышление, эстетическое воспитание, культуру речи и поведения. Интеллект - это лишь небольшая часть навыка, которую зритель может получить в театре, если театр будет иметь возможность производить высококачественную продукцию и обеспечивать различные познавательно-развлекательные программы в хорошо организованной и оборудованной среде. Театр вместе с семьей и школой играет решающую роль в воспитании молодого поколения.

В любой развитой стране театр для детей и молодежи, исходя из специфики, является театром N1 и пользуется особым вниманием и патронажем. Уникальным является творческий состав театра такого профиля (художники, режиссеры, артисты) поскольку, режиссер высококачественно может поставить как детскую сказку так и «Короля Лира» Шекспира, актер утром может сыграть Хуткунчула и в тот же вечер «Фауста»

У нашего театра аудитория разного возраста, мы представляем вечерние спектакли и очень рады, что у них есть зритель. В последние годы расширилась карта гастролей Тюза.

Мы гордимся тем, что театр представляет детские образовательные выступления в регионах Грузии.

Театру постоянно приходится справляться с техническими и творческими проблемами, так как требования зрителя часто меняются. Мы обязаны представлять нашему зрителю как классические, так и современные постановки, что в наших условиях часто невозможно.

Мы гордимся что несмотря на все проблемы, наш театр лидирует по числу зрителей и премьер.

Хочу поблагодарить всех сотрудников нашего театра за профессионализм, преданность и титанический труд!

Сегодня, когда значительная часть грузинского населения справляется с экономическими проблемами (что, к сожалению, отражается в детской психологии), наш театр ставит себе цель создать детям духовный оазис, где они на время забудут о трудностях, развлекутся и просветятся.

Хочу выразить благодарность всем тем организациям и лицам, которые помогают нам осуществить наши планы и идеи! Этот театр, в виду своей уникальности заслуживает особенное внимание и поддержку.

Благодаря вашей помощи у нас появится возможность реализовать важные идеи, организовать для детей разнообразные мероприятия как театральные, так и познавательно-развлекательные.

Театр им. Н. Думбадзе создан на базе трех театров: Русского, Грузинского и театра кукол. На протяжении многих десятилетий в этих театрах работали многие великие деятели искусств. Мы благодарны и благодарим всех людей, которые внесли свой вклад в развитие театра.

Сегодня у театра есть такой художественный руководитель, работает такой творческий, административно-технический состав, которому удается воплотить в реальность сложные задачи.

Мы гордимся тем, что служим театру юного зрителя и у нас самый хрупкий и искренний зритель!

Тамара Лордкипанидзе
Директор театра

To friends, fans and spectators of the Youth Theatre

Today the only state theatre in Georgia, that serves the youngest audience until its adulthood and educates the future generation of the country, celebrates its 90th anniversary.

